საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 302/1
13/01/2020

302-1-2-202001131523

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ გიორგი ხანიშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2019 წლის 12 დეკემბრის N12387/01 წერილის პასუხად, რომელიც ეხება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ (შემდგომში - კომპანია) მიერ განსახორციელებელი „ქ. მარნეულისა და ქ. ბოლნისის საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის მიზნით“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიშში არსებული ინფორმაციის დაზუსტებას, კერძოდ, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციისას უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევებით, ხმაურით და სუნის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში (გზშ) განხილული, ქ.მარნეულის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის შერჩეული, კომპანიის საკუთრებაში არსებული რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 83.03.25.406), საცხოვრებელი განაშენიანებიდან (არეალში წარმოდგენილია მხოლოდ საცხოვრებელი სახლები) დაშორებულია 50 მ-ით, ხოლო უშუალოდ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილი, შესაბამისად გაფრქვევის, სუნისა და ხმაურწარმომქმნელი წყაროების გეომეტრიული ცენტრი უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაცილებულია 150-მით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის, ხმაურისა და სუნის გავრცელების დონეების ხელახალი გაანგარიშება არ განხორციელებულა, ვინაიდან დასახლებული პუნქტი უშუალოდ საპროექტო გამწმენდი ნაგებობიდან მდენარეობს 150მ-ის მანძილზე და გზშ-ს ანგარიშში, მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების პროექტი წარმოდგენილია ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით.

საქართველო, ქ.თბილისი 0186
ვაჟა-ფშაველას გამ. 76ბ
ტელ: (99532) 2919060
ს/კ: 412670097

e-mail: info@water.gov.ge
www.water. gov.ge

76b, Vazha-Pshavela Ave.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (995 32) 2 91 90 60

რაც შეეხება პროექტის ფარგლებში განსახლების საჭიროებას, აღნიშნული გათვალისწინებულია მხოლოდ და მხოლოდ ჩამდინარე წყლების მაგისტრალური გამყვანი კოლექტორის მოწყობის ნაწილში და არ არის შემხებლობაში უშუალოდ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის გავლენის ზონასთან. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ განსახლების პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და დონორი ორგანიზაციის (ADB) რეგულაციების მოთხოვნათა შესაბამისად მომზადებულია „მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა“, რომელიც მოწონებულია აზიის განვითარების ბანკის მიერ და რომელზეც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაცემული აქვს შესაბამისი თანხმობა (გთხოვთ, იხილოთ დანართი).

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ქ.მარნეულში სოფელ საბირქენდში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის გავლენის ზონაში მოქცეული მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, კომპანიამ გაატარა დამატებითი ღონისძიებები, კერძოდ, 2019 წლის 26 სექტემბერს ჩაატარა საჯარო შეხვედრა საპროექტო ტერიტორიასთან უშუალო სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობასთან, სადაც განხილულ იქნა ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპები (დამსწრეთა ხელმოწერები და ფოტომასალა თან ერთვის აღნიშნულ წერილს). შეხვედრაზე დამსწრე მოსახლეობამ მიიღო დეტალური ინფორმაცია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევით, სუნით და ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებათა და მათი შემარბილებელი ღონისძიებების, შესახებ. აღნიშნულ საჯარო შეხვედრაზე კომპანიასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მოხდა შეთანხმება, რის შედეგადაც მოსახლეობის მხრიდან შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიაში“ ოფიციალურად შემოტანილი იქნა პროექტის განხორციელების მხარდამჭერი წერილები.

რაც შეეხება საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ოპერირების ეტაპისათვის ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშებას, როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი განხხორციელდა ხმაურწარმომქმნელი წყაროების გეომეტრიული ცენტრიდან დაახლოებით 150 მ-ით დაცილებულ უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიმართებაში. გაანგარიშება ჩატარებულია „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს მთავრობის № 398 დაგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მეთოდით გაანგარიშებები ჩატარებულია ყველაზე უარესი სცენარით, ანუ გაანგარიშებისას გათვალისწინებული არ ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებები, რაც ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ უარყოფითი ზემოქმედების რისკებს კიდევ უფრო ამცირებს, კერძოდ:

ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების დონეების მინიმიზაცია გათვალისწინებულია შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება:

- გამწენდი ნაგებობის ტერიტორიაზე ხარისხიანი სატუმბი დანადგარების დამონტაჟება;
- ტუმბოების მონტაჟისას შეძლებისდაგვარად ხმაურსაიზოლაციო მასალის გამოყენება (მაგალითად პენოპლასტი);

- ტუმბოების მოწყობა ვიბროსაიზოლაციო პლატფორმაზე, რისთვისაც შესაძლებელია გამოყენებული იქნას რეზინის სქელი ფურცლები;
- ხმაურდამცავი ბარიერის (ეკრანები) სახით ტერიტორიის დასავლეთის პერიმეტრზე 3-4 მ სიმაღლის ბეტონის კედლის მოწყობა, რომელსაც ექნება ხმაურდაცვითი ეფექტი;
- ტერიტორიის დასავლეთის პერიმეტრზე ასევე გამწვანების ზოლის მოწყობა, რომელსაც ასევე ექნება ხმაურდაცვითი ეფექტი.

სამშენებლო სამუშაოების ჩატარების შედეგად წარმოქმნილი ფუჭი ქანების, მათი განთავსების ადგილისა და პირობების შესახებ საკითხი განხილულია გზშ ანგარიშის 4.3.2 პუნქტის (წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მეთოდები) 4.3.2.1 ქვეპუნქტის (გვ. 232) თანახმად, კერძოდ, „ექსკავირებული, მშენებლობისთვის გამოუყენებელი გრუნტი და ბეტონის ნარჩენები გატანილი იქნება სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე;“, რომელიც კომპანიაში დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე წინასწარ შეთანხმებული იქნება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოაღნიშნული და გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება „ქ. მარნეულისა და ქ. ბოლნისის საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტისთვის.

დანართი: 1. საჯარო განხილვის ფოტომასალა.
2. საჯარო განხილვაზე დამსწრეთა სია.
3. მოსახლეობის თანხმობის აქტები.
4. მიწის შესყიდვისა და განსახლების დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

მაია გიქოშვილი

დირექტორი (მოვალეობის შემსრულებელი)

ხელმძღვანელობა